საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ვასილ მშვენიერაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 1.08.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვასილ მშვენიერაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის ნიკოლოზ მარსაგიშვილის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის N1/47 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე (1 ვაკანსიაზე) ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 2 ივლისის N1/53 განკარგულებით, კანდიდატებად დარეგისტრირდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირები, მათ შორის - ნიკოლოზ მარსაგიშვილი.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მოვახდინე კანდიდატის შეფასება. შეფასებისას ვიხელმძღვანელე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანონით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და თავად ნიკოლოზ მარსაგიშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობით, ასევე კანდიდატის საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილებით.

კანდიდატთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ ნიკოლოზ მარსაგიშვილი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კანდიდატი ასევე შევაფასე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებით: „ა“ სამართლის ნორმების ცოდნა; „ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; „დ“ წერის უნარი; „ე“ ხეპირი კომუნიკაციის უნარი; „ზ“ პროფესიული თვისებები; „თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; „ი“ პროფესიული აქტივობა. მითითებული მახასიათებლების მიხედვით, ნიკოლოზ მარსაგიშვილს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად მივანიჭე 93 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის N1/75 განკარგულებით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი - ნიკოლოზ მარსაგიშვილი. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც გადაწყდა ნიკოლოზ მარსაგიშვილის პარლამენტისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენის საკითხი.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართულ ღია კენჭისყრაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენად ნიკოლოზ მარსაგიშვილს მხარი დავუჭირე, ვინაიდან მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ვასილ მშვენიერაძე

1 აგვისტო, 2024 წელი